ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **97-97250662**
თარიღი: **07/03/2025**

ადრესატი: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: დაბა ლენტეხი, თამარ მეფის ქ 24

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გია ონიანს

ბატონო გია,

მიმდინარე წლის 28 თებერვალს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მოსმენილი იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის (შესყიდვების განყოფილების) ანგარიში 2024 წელს განხორციელებული შესყიდვების თაობაზე. ანგარიში საკრებულოს მიერ დადებითად იქნა შეფასებული, მაგრამ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ანგარიშის განხილვის და დასკვნის მიღების დროს გაითვალისწინა ის გარემოება, რომ კომისიას ძალიან შემჭიდროვებულ ვადებში მოუწია ამ საკითხის განხილვა და დარჩა პასუხგაუცემელი კითხვები. შესაბამისად კომისიამ დასკვნაში, რომლის საფუძველზეც მოხდა აღნიშნული ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე გატანა, ერთ პუნქტად აღნიშნა შემდეგი: მერიის საფინანსო სამსახურმა აღნიშნულ ანგარიშთან დაკავშირებით შემჭიდროვებულ ვადებში საკრებულოში დამატებით წარმოადგინოს დაზუსტებული ინფორმაცია.კერძოდ: გამარტივებული შესყიდვების ცხრილს ,,შესყიდვების საშუალების“ გრაფის შემდეგ დაემატოს გრაფები: შემსრულებელი, შესყიდული საქონელი და ბოლო გრაფა იქნება ,,შენიშვნა“.

ამავე დროს კონსოლიდირებული ტენდერების ცხრილში სავარძლების, საბურავების, ზეთების, აკუმულატორების გრაფების მიხედვით მიუთითოს (ინფორმაციის სახით) თანამდებობის პირები და შესაბამისი ავტომანქნები. (როგორც საკრებულოს შემთხვევაში).

საფუძველი: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის ოქმი N-04. 27/02/2025წ.

პატივისცემით,

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი